თბილისში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდამჭერი აქცია გაიმართა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 03.09.2024. 2024 წლის 1 სექტემბერს თბილისის ცენტრში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მხარდამჭერი აქცია გაიმართა, – **იუწყება** Sputnik საქართველო.

აქციის მონაწილეები უკრაინაში ახლახან მიღებულ კანონს, რომელიც კანონიკური ეკლესიის აკრძალვის შესაძლებლობას იძლევა, მთელი მართლმადიდებლური სამყაროს რელიგიურ ღირებულებებზე თავდასხმად მიიჩნევენ. „ჩვენ მხარდაჭერა გამოვუცხადეთ უკრაინელ მართლმადიდებელ და-ძმებს, – **განაცხადა** აქციის ორგანიზატორმა გულბაათ ცხილაძემ. – კანონი 8371 მიმართულია პირდაპირ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის აკრძალვაზე, რომელიც ერთადერთი კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიაა უკრაინის ტერიტორიაზე“.

შეკრებილებმა მოიტანეს პლაკატები, რომლებიც მოუწოდებენ კიევ-პეჩერის ლავრის დაცვას და მართლმადიდებელი იერარქებისა და სამღვდელოების გათავისუფლებას, რომლებიც უკრაინაში სასამართლო დევნას განცდიან, – **იუწყება** გამომცემლობა „იზვესტია“.

„ძვირფასო ძმებო და დებო! მოგმართავთ საქართველოდან, ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყნიდან. ჩვენ გულგრილნი ვერ ვიქნებით უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ბედისადმი, რადგან არსებობს ქრისტეს ერთი მართლმადიდებელი ეკლესია, რომელშიც ჩვენ ყველანი გაერთიანებულნი ვართ, განურჩევლად ეროვნებისა და მოქალაქეობისა“, – წაიკითხა მიმართვა უკრაინელ მორწმუნეთა მიმართ აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

აქციის მონაწილეთა სიტყვებით, რომლებსაც «Рен ТВ“ **ციტირებს,** ქართველი მორწმუნეებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია უკრაინული მართლმადიდებლური სიწმინდეები. საკუთარ მიმართვაში პროტესტანტებმა აღნიშნეს, რომ კიევში მიღებულმა კანონმა მთელი მართლმადიდებლური სამყარო ააღელვა. დემონსტრატების აზრით, უკრაინის ხელისუფლების ასეთი ნაბიჯი მტრულია მთელი მართლმადიდებლობის, მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებლობის მიმართ.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92186/